

# სადღესასწაულო განგება

## წმიდისა და კეთილმსახურისა

### მეფისა თამარისი

დიდ მწუხრსა ზედა

ვჰგალობთ ნეტარ-არს კაცსა, ა აღსავალსა

უფალო დაღად-ვყავსა ზედა დასდებელი

#### მუხლი წ. წმიდისა თამარისი კმაჲ დ. მოგიცემიეს

მიანიჭე შენ, კაცთმოყუარეო, თუთმპყრობელსა მეფესა ქართველთასა სიბრძნე იგი სოლომონისი, დავითის სიმშვიდეს და მოციქულებრივი კეთილად მსახურებაჲ, რომლისა მიერ კეთილად განაგო მან მეფობაჲ თუხი, ვითარცა მეფეთა მეუფემან და მფლობელთა ყოველთა მფლობელმან, მის თანა შენისა ღმრთეებისა განგებულებასა ვადიდებთ, იესუ ყოვლად ძლიერო და მკსნელო სულთა ჩუენთაო.

რტო ნაყოფიერ იქმენ შენ, ღმრთივგანბრძობილო, აღმოცენებულ ძირთაგან ღმრთისმსახურთა, რომელმან საქმეს, ხედვაჲ და სიყუარული კეთილად წარჰმართე და გარდაემატე ძუელთა, გინა ახალთა მეფეთა ღუაწლთა, ქრისტე აღიარე ღმერთად და მეუფედ და ქუელისმოქმედად და მკსნელად და მძლედ ყოველთა მთავრობათა და უმაღლეს კელმწიფებათა, წმიდაო თამარ, რომლისათუხცა წარგიმართა ქრისტესმოყუარეს იგი მეფობაჲ შენი, იესუ ყოვლად ძლიერმან და მკსნელმან სულთა ჩუენთამან.

ვითარცა გული შენი, განბრძობილი შჯად ერისა შენისა, იყო კელთა შინა ღმრთისაჲთა, ეგრეცა ღმობიერ ჰყვენ გულნი ჩუენნი ფიცხელნი აწ ტკბილითა წყალობითა შენითა და წარმართენ სლვანი ჩუენნი მცნებათა მიმართ საღმრთოთა, რაჲთა შეგუჭურნეს ჩუენ კელითა თუხითა უძლეველითა, ყოველთა ხილულთა და უხილავთა მტერთა ზედა, იესუ ყოვლადძლიერმან და მკსნელმან სულთა ჩუენთამან.

აწ ვითარ აღმოსთქუას გონებათა და პირთა ჩუენთა სიტყვანი კეთილნი: შესხმაჲ, ქებაჲ და დიდებაჲ ძლევიტ გურგუნოსნობისა და მძლედ მფლობელობისა შენისა ღირსად შესწორებულნი: სიმშუდეს – საქებელი, ღმობიერებაჲ – მოწლე, მოწყალებაჲ – თანა ღმობილი, უმანკობაჲ – უზაკუელი, სიწრფობაჲ – უსიცრუო, სახიერებაჲ – ზოგადი, სიუხუეს აღუზავებელი და თავი ყოვლისა კეთილისა – შიში ღმრთისაჲ და მსახურებაჲ მისი შეუორგულებელი, ამისთუხცა ღირს იქმენ, სასუფეველსა ცათასა, რომელი დაგიმკვდრა იესუ ყოვლადძლიერმან და და მკსნელმან სულთა ჩუენთამან.

უფლისა მიერ კურთხეულო და სუე-ამაღლებულო კელმწიფეო, გიხაროდენ, განუშორებელ არს შენგან მარადის წყალობაჲ ღმრთისაჲ, რამეთუ ღუაწლი კეთილი მოგიღუაწებეის, სრბაჲ აღგისრულებეის და სარწმუნობაჲ დაგიმარხავს საქმითა კეთილითა განსრულებული, ამისთუხცა მიითუალე სიმართლისა იგი გურგუნი, რომელი მოგანიჭა შრომათა წილ შენთა წმიდათა, იესუ ყოვლადძლიერმან და მკსნელმან სულთა ჩუენთამან.

#### დიდებაჲ... კმაჲ ბ

გონებაჲ შენი უვნებლობითა განაბრწყინვე და საღმრთოჲთა სიმდაბლითა განაშუენე, ერისა შენისა სულიერად აღმაშენებულო კელმწიფეო, რამეთუ მეუფებდი რაჲ ზეგარდამოჲთა მით მადლითა, აღამაღლებდი ჯუარსა საღმრთოჲსა ძლევისასა, რომლისა მიერ წარსწყმიდნე მტერნი იგი მბრძოლნი ქრისტესნი და მშუდობასა შინა განამტკიცენ მართლმადიდებელთა სარწმუნობაჲ, რომლისათუხცა მზემან სიმართლისამან განგანათლა შენ და მნათობად ცის-კიდეთა გამოგაჩინა.

#### აწდა...

ვინ არა განატრიდეს შენ, ყოვლადწმიდაო ქალწულო, ვინ არა უგალობდეს უხრწნელსა შობასა შენსა, რამეთუ რომელი იგი უჟამოდ მამისაგან გამობრწყინდა, მშ მხოლოდშობილი, იგივე შენგან უბიწოჲსა გამოვიდა გამოუთქმელად კორცმესხმული, ღმერთი იყო ბუნებით და ჩუენთუხს კაც-იქმნა წყალობით. არა ორებად პირთასა განიკვეთა, არამედ ორითა ბუნებითა შეურევენელად საცნაურ-იქმნა. მას ევედრე, პატროსანო და ყოვლადსანატრელო, ცხორებისათუხს სულთა ჩუენთასა.

**შესვლად წარდგომა დღისა და საკითხავი გ**

მესამე მეფეთა საკითხავი (თავი მ).

წინასწარმეტყუელება ისაიასი საკითხავი (თავი ა).

წინასწარმეტყუელება ისაიასი საკითხავი (თავი ა).

იხილეთ კა მაისს (ძვ. სტ) წმიდა ელენესა და კონსტანტინეს ხსენების დღეს.

**ლიტსა ზედა დასდებელი ტაძრისა და წმიდისა, კმაჲ ა**

საქმენი შენნი საკურველნი, კედუთა და საქმითა ბრწყინვალს, სახე გუექმნა ყოველთა მორწმუნეთა, რამეთუ მოგუთხრობს ყოველი მხესა ქუეშე სათნობათა შენთა სიკეთესა, გლახათა შუამდგომელობასა და ობოლთა და ქურივთა გამოზრდასა, რომლისათუცა შემწედ გუეპოები მსასობელთა შენთა და შესხმითა გალობისათა დაუღუმებელად გადიდებთ.

ოდეს მეფობისა გვრგვინთა, ვითარცა ღუაწლის მძლს, გვრგვინოსან გყო ქრისტემან მეუფემან, უფროჲს განამრავლნე მოღუაწებაჲ: მარხვაჲ და მღუძარებაჲ უზომოჲ, ლოცვაჲ და გლახაკთმოწყალებაჲ, სიყუარული და მოთმინებაჲ და ყოველნივე ნაყოფნი სულიანნი შეიტკბნე, სიტყვსაებრ წმიდისა მოციქულისა პავლესი, რომელ არიან წმიდანი სათნობანი, რომლისათუცა დაუღუმებელად გადიდებთ.

არა კაცთაგან მიმღებელ იქმენ შენ წოდებისა, მსაჯულო სიმართლისაო, არამედ გამორჩევითა მით ზეგარდამოთა, გამოგორჩია ქრისტემან მეუფემან, და მით მოგმადლა შენ კელმწიფებაჲ და მფლობელობაჲ საზეპუროსა ერსა ზედა, ვითარცა მამის პაპასა შენსა, წმიდასა და სანატრელსა მეფესა ჩუენსა დავით აღმაშენებელსა, რომლისა თანა გზედავთ აწ ზეცისა სასუფეველსა და ქრისტესა ღმერთსა ვადიდებთ, რომელმან თქუენი წმიდა დღესასწაული განაბრწყინვა უფროჲს ნათლისა მზისა, რათა განგუანათლებდეს მკურვალედ თქუენდამი მოღვთოლულთა.

იყავ შენ, ყოველთა მეფეთა უმეტეს უხვ, ტკბილ, მოწყალე და მდაბალ გონებითა, მ, პატოისანო და ბრძენო კელმწიფეო, და ცხორებითა შენითა შემჭრელ ძირთა ცოდვისათა, და მნათობ და განმანათლებელ მორწმუნეთა და სხუათა თანა სათნობათა მეცნიერ შჯულთა საეკლესიოთა, რომლისათუცა ვაქებთ სიბრძნესა შენსა, წმიდაო თამარ, და სარწმუნოებითა და სასობებით გიდალადაბთ: ევედრე ქრისტესა ღმერთსა ცოდვათა მოტევებისა მონიჭებად მეღღესასწაულეთა კსენებისა შენისათა.

ესრეთ შეიყუარე შენ ღმერთი, წყალობისმოყუარეო, აღმატებასა და განდიდებასა შინა, უფროჲს აღაშენე და წყალობაჲ მოჰფინე ეკლესია-მონასტერთა ელაღისათა და მთაწმიდას, პეტრიწონს, თრაკიასა და კონსტანტინეპოლეს, რომანასა და კუპრეს – ღალიას, და ყოველთა მას სანახებსა შავისა მთისასა, ზოლო საქართველოჲსა ყოველნი საყდარ-ეკლესიანიც არა დაუტევე, არამედ მოწყალეებითა იესუმს ღმერთისა მსგავსითა წყალობითა დიდითა აღავსნე, რომლისათუცა არა დაჰფარნა ღმერთმან შრომანი შენნი, არამედ ქუაბ-ქმნილთა და ნაშენებთა შენთა მიერ განჰსთქუა ბრწყინვალებაჲ მოღუაწებათა შენთაჲ, და ყოველთა მვედრებელთა შენთა შემწედ და კელისაღმპყრობელად გამოგაჩინა.

სკაპტრაჲ შენი თუთ-მპყრობელობისაჲ ზღუდედ უბრძოლველად გვვის ქართველთა ერსა, ქრისტეს სისხლითა მოსყიდულთა და განთავისუფლებულთა, და ერად საზეპუროდ აღნიშნულთა და აღწერილთა, მ, დიდებულო მკნეო კელმწიფეო, რამეთუ ესრეთ გუექადაგა, გუებრძანა და განგუეჩინა შულთა აღმოსავლეთისათა და ძეთა მართლმადიდებელთა.

ვითარი გვრგვინი ქებისაჲ შეუთხზნათ სათნობათა შენთა ზეშთა აღმატებულთა, თამარ სამ-გზის სანატრელო მეფეო, სიუხვეთა და სიმდაბლეთა, სიმკნეთა და სიქუელეთა, განმარჯუებათა და მოწყალეებათა, რომელნი ესე ღმერთსა შესწირნე მსხუერპლად სულიერად და საკუერთხად ღმრთივბრწყინვალედ და გამოშინდი, ვითარცა სულთა ბოროტთა განმდევნელი, და ვითარცა უძილი და მფარველი, რათა გუაცხოვნნე ჩუენ და განჰკურნნე მრავალნი წყლულებანი ერისა ჩუენისაჲ.

**დიდებაჲ... კმაჲ ე**

დღეს იხარებს კრებული ესე ღმრთივ-შეკრებული, და კსენებასა შენსა წმიდასა პატოის-სცემს ყოვლად-ქებულად მკობელი, გიხაროდენ, მეფეთა შორის სანატრელო და კეთილად მოქსენიებულო; გიხაროდენ, სიკეთითა და სიტუფითა გამორჩეულო და სარწმუნოებითა შენდამი მვედრებელთა განმანათლებელო, წმიდაო თამარ, რომელმან

ასწავე მრავალთა მამათა და ღელათა საზომი სიკეთისაჲ და უღელი მეუღლეობისაჲ; გიხაროდენ, ეკლესიათა განმარწევილებლო და ერისა შენისა აღმატებულთა სიხარულთა აღმამაღლებლო, დილო კელმწიფეო, დაუცხრომელად ევედრე ქრისტესა ღმერთსა გარდამოვლინებად ეკლესიათა ერთობაჲ, მშულობაჲ და ერსა ჩუენსა დიდი წყალობაჲ.

**აწღა ღმრთისმშობლისა.**

**სტიქარონსა ზედა დასდებელი, კმაჲ ბ**

ქსენებაჲ შენი ყოვლად პატიოსანი, განაცისკროვნებს კიდეთა ღმრთივცნობისა ნათლითა, ღმრთივგანბრძნობილ გონებათა დამატკობებლო ბრძენო კელმწიფეო, რამეთუ შენ მეფეთა შორის სიმკნისა ღუაწლისა მოღუაწებითა კეთილმსახურად გამოჩნდი და შჯულისა დაიმარხენ ზეციურისა მეუფისანი, რომლისათჳსცა სათნო-ყო სიკეთს მეფობისა შენისაჲ მეუფემან ჩუენმან, და კელმწიფეთა სახელისა და დიდებისა შარავანდედად გამოგაჩინა.

**მუკლი. აღვამადლო რჩეული ერისაგან ჩემისა, ვპოვე დავით მონაჲ ჩემი.**

აღხვედ რაჲ მადლითა სულისა წმიდისაჲთა ცხებულო, ტახტსა მას სამეფოსა, რომელ მოგენიჭა კელითა უფლისა შენისაჲთა, უცხო ექმენ საცთურთა სოფლისათა და კეთილმსახურებისა წინამბრძოლ და შემწედ უძლეველ გამოშინდი, რომლისათჳსცა შემწედ გუეპოები შენდამი ესრტ მსასოებელთა, დიდებულო, მქნეო კელმწიფეო, და მარადის გიკმობთ, ყოვლად პატიოსანო: გიხაროდენ, თამარ, მართლმორწმუნეთა ბრწეინვალეო სამკაულო.

**მუკლი. ამისთჳს გცხო შენ ღმერთმან, ღმერთმან შენმან საცხებელი სიხარულისა.**

მოიღე რაჲ ღმრთისაგან პატივი და ნიჭი მეფობისაჲ, შეიჭურვე საჭურველი ღმრთისმსახურებისაჲ და სიმნს სულისაჲ და საქმითა მართლმადიდებლობისაჲთა განბრწეინდი, რომლისათჳსცა სოლომონისაებრ გმონებდენ ყოველნი მეფენი ქუეყანისანი და წინაშე შენსა ლიტანიობდენ მდიდარნი ერისანი, ხოლო ჩუენ ყოველნი, ვითარცა დედასა ქართველთა ერისასა ესრეთ გქადაგებთ შენ და გალობითა ქებისაჲთა ერთკმობით გიდაღადებთ: საწადელისა შენისა ქრისტსს თანა მომიქსენენ შემსხმელნი შენნი.

**დიდებაჲ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა,**

ეჰა, რაბამი დიდებულებაჲ შეგძინა შენ სიმკნემან, სანატრელო, რომელმან სამსახურებელნი იგი კერპთან ალპყობითა და ამალღებითა ძელისა ცხორებისაჲთა დაამკუ და დაარღვიე ყოველივე უღმრთოებისა იგი საცთური ძალითა ქრისტსსითა და დასთრგუნე, ხოლო წარმართთა სიმრავლენი მეცნიერებად ღმრთისა მოიყვანენ და დაამტკიცენ მართლმადიდებლობასა, აწ კადნიერებით გუთხოვე ჩუენ განათლებაჲ, განწმედაჲ და დიდი წყალობაჲ.

**აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.**

ღმრთისმშობელო, სასოო ყოველთა მვედრებელთა შენთაო, შენგან სასოებაჲ გუაქუს, შენგან ვიქადით, შენდა მომართ არს ყოველი სასოებაჲ ჩუენი, მეოხ გვეყავ შენგან შობილისა მიმართ სულთა ჩუენთათჳს.

**ცისკრად ღმერთი უფალსა ზედა, ტროპარი წმიდისა 2-გზის, დიდება და აწღა ღმრთისმშობლისა, აღდგომისა.**

**კურთხევასა ზედა პურისასა, ტროპარი წმიდისა თამარისი 2-გზის და ღმრთისმშობელო ქალწულო.**

**ტროპარი**

წმიდათა შორის საკურველო, კეთილმორწმუნეო მეფეო თამარ, რომელმან კლდეთა ზედა მალალთა აღაშენენ საყდარნი სავედრებელად ღმრთისა, ლოცუთა შენითა განადლიერე მკედრობანი ქრისტსსმოყუარისა ქართველთა ერისანი, ხოლო მარჯუენითა შენითა დაამხუენ სპანი აგარეანთანი, მისითა მეოხებითა, ქრისტე ღმერთო, აცხოვნენ სულნი ჩუენნი.

**შემდგომად ა კანონისა, წარდგომა**

ზეცისა სუფევისა მკურვალედ სურვილითა, მეუფესა და ღმერთსა ყოველთასა, გონებითა უბიწოთა ჰმსახურე, მქნეო კელმწიფეო, და მიუდრეკელ ხვლოდი რაჲ

საშუალო, გზასა მას სამეუფოსა, წარმართე ერნი მცნებათა მიმართ საღმრთოთა, განიოტე ცოდვისა ბნელი და განანათლე სავსებაჲ ქრისტესს მორწმუნეთა, ეგრეთვე აწ სულთა ჩუენთათჳს გამოკსნაჲ ითხოვე, ნეტარო თამარ, და გჳძლდე ჩუენ სლვად გზასა მას მცნებათასა და შენთანავე ღირს-ყოფად სასუფეველსა ცათასა.

**დიდებაჲ... იგივე. აწღა ღმრთისმშობლისა.**

საღმრთო სამკურნებელ-იქმენ სიტყჳსა, მხოლო ყოვლად წმიდაო დედაო და ქალწულო, სიწმიდითა ანგელოზთა უმაღლესო, უფროჲს ყოველთა შეცოდებითა მე მტკვერ-ქმნილი და კორციითა შეგინებული განმწმიდე ვედრებითა შენითა საღმრთოთა წყლითა და მომადლე, წმიდაო, დიდი წყალობაჲ.

### **შემდგომად ბ კანონისა, წარდგომა**

რომელმან წარმართენ ძლევენი საკურველნი საჭურველითა ცხოველსმყოფელისა ჯუარისათა და მოსრენ ბანაკნი ქრისტესს მბრძოლთანი, ითხოვე ქრისტესს მიერ, შეურყეველად დაცვაჲ ეკლესიათაჲ, და მოცემად ჯუართა ძლევაჲ ერსა ჩუენსა, და სიმტკიცეს მორწმუნეთა და ამაღლებაჲ რქისა მათისაჲ, მწვალებელთა მათ ზედა, მშუდობაჲ სოფელსა და მგალობელთა შენთა დიდი წყალობაჲ.

**დიდებაჲ. იგივე. აწღა ღმრთისმშობლისა.**

წინათ დასახავს გედონ მიდგომილებასა, ხოლო დავით მოუთხრობს შობასა შენსა, ღმრთისმშობელო, რამეთუ გარდამოხდა ვითარცა წვიმაჲ საწმისსა ზედა სიტყჳჲ მუცელსა შენსა, რომელმანცა აღზარდე იგი უთესლოდ ქრისტე ღმერთი ჩუენი, ქუეყანაო წმიდაო სოფლისა ცხორებაო, მიმადლებულო.

### **შემდგომად სადიდებელისა წარდგომა**

რომელმან მზეებრ მოჰფინე წყალობაჲ ღმრთისაჲ ყოველთა მკურთა ქუეყანისა შენისასა და განსწავლენ ქართველნი სიწმიდითა ცხორებად და სიმართლითა სლვად, ეგრეთვე გარდამეტებული სიტკობებითა შენითა მოგუეც გულისკმის-ყოფაჲ შეცოდებათა ჩუენთა, და გჳკსენ მარადის საბრხეთაგან ეშმაკისაჲთა და მზაკუარებათაგან კაცთაჲსა, რომელნი ესე სარწმუნოებითა ვევედრებით სახელსა შენსა ღმრთივშუენიერსა და ყოვლად პატიოსანსა, და დაუდუმებულად გადიდებთ.

**დიდებაჲ... იგივე. აწღა ღმრთისმშობლისა.**

განაახლენ, წმიდაო, საღმრთოთა შობითა შენითა, განხრწნილი ვნებათა შინა ქუეყანისა შობილთა მოკუდავი არსებაჲ, და აღადგინენ ყოველნი სიკუდილისაგან უხრწნელებისა ცხორებად, ამისთჳს ჯერისაებრ გნატრით შენ, ქალწულო, უფროჲსად ყოვლად საგალობელო.

### **აღსავალი ა, მეოთხე კმისა**

სიყრმით ჩემითგან ფრიად მბრძუანან მე არაწმიდანი ვნებანი, ამისთჳს გევედრები: შემწე მეყავ და მიკსენ, სახიერ.

რომელთა გძულთ სიონი, სირცხვილეულ-იქმენით უფლისა მიერ, და ვითარცა განხმული თივა შეგჭამნესთ გეენიამა.

**დიდებაჲ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა, აწ და მარადის და უკუნიითი უკუნისამდე, ამინ.**

სულისა მიერ წმიდისა ყოველი სული ცხოველ-იქმნების და სიწმიდით ამაღლების, და განბრწყინების სამებისა მიერ ერთ-არსებისა, ღმრთივშუენიერად და საიდუმლოდ.

### **წარდგომა, კმაჲ დ**

*და აღვამაღლო რჩეული ერისაგან ჩემისა.*

**მუკლი.** ამისთჳს გცხო შენ ღმერთმან, ღმერთმან შენმან საცხებელი სიხარულისა.

ყოველი სული. სახარება იოანესი, თავი ი, მუკლი თ. (ჰრქუა უფალმან მოსრულთა მათ ჰურიათა...) დასასრული, მუკლი იზ. (და ერთ მწყემს...)

**შემდგომად ნ ფსალმუნისა,**

**დიდებაჲ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა,**

მეოხებითა ღმრთივგზრგზნოსანისა მეფეთ-მეფისა თამარისითა, მოწყალეო, აღკოცე ცოდვათა ჩუენთა სიმრავლენი.

**აწ და მარადის და უკუნიითი უკუნისამდე, ამინ.**

მეოხებითა ღმრთისმშობლისადათა, მოწყალეო, აღკოცე ცოდვათა ჩუენთა სიმრავლენი.

მიწყალე მე, ღმერთო...

### **შემდგომ ამისა დასდებელი**

ქსენებაჲ მეფეთ-მეფისა თამარისი აღმოგზბრწყინდა ჩუენ ღღეს, ვითარცა მირონი აღმონადენი, რამეთუ ქრისტჳ შეიყუარა და ერნი განამტკიცნა, შიშით მონებად ღმრთისა და ერთგულობით უფალთა თჳსთა, და აღამაღლნა ტადარნი ქუეყანასა ზედა ჩუენთჳს ჯუარცბულისა, და მიიღო ცათა შინა გზრგზნი სასოებისა.

### **კანონი ღმრთისმშობლისა, ძლისპირითა მუკლი ვ,**

(იხილეთ მეფეთა საღღესასწაულო მსახურებაში.)

### **სსუაჲ კანონი წმიდისა, მუკლი ჳ**

#### **გალობა ა, უგალობდითსა, კჳაჲ დ გუერდი**

**ძლისპირი:** ქუეყანასა მწყურნებსა, ვითარცა კმელსა, განვიდა და შრომათაგან ეგჳპტისათა განერა ერი ისრაელთაჲ, დაღადებდა: მკსნელსა ჩუენსა და უფალსა უგალობდეთ.

ჳ მეუფეო, ქრისტე ღმერთო სახიერო, რომელი ესე აწ მძღავრობს და მეუფებს ჩუენ შორის ცოდვაჲ, ვედრებითა კეთილმსახურისა მეფისა თამარისადათა მიკსენ მისგან და განმადლიერენ მე.

რომელი სიჩჩოჲთ შენით აღორძინდი საღმრთოჲთა წერილითა და მიორწყე მადლთა დაუწყვედელითა ნაკადულითა, სათნობათა მწყობრნი ჯეროვანად წარჳმართენ და წყაროჲ მოწყალეებისაჲ მზუმეველთა განუმრავლე კეთილმოღუაწებითა შენითა.

გულისკმის-ყოფაჲ მიუწთომელი მოგეცა შენ სიყრმით შენითგან და ფრთოვან იქმენ ღმრთისა სიყუარულითა, რამეთუ ღმერთი შეიყუარე სრულიად, ყოვლითა ძალითა შენითა და მოყუასი, ვითარცა თავი თჳსი, დიდებულო მსახურო ღმრთისაო, ნეტარო თამარ.

წრფელ, მდაბალ, მმუდ და მოწყალე, და სახიერ იყავ შენ, ნეტარო, შეცუულ სიყუარულითა, და ბრძენ და გონიერ, და ყოვლითა კეთილითა განშუენებულ და შემკულ სათნობითა.

#### **დიდებაჲ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა,**

ვითარცა ხარ კელმწიფჳ უძლეველი და ღუაწლით შემოსილი, ყოვლად ქებული და თანა შემწე სარწმუნოებისა, ესრჳთ გუექმენ შემსხმელთა შენთა გოდოლ სიმტკიცისა და შეგვზღუდენ ჩუენ ოხითა შენითა.

#### **აწ და მარადის და უკუნიითი უკუნისამდე, ამინ.**

ბჳეო აღმოსავალისა საღმრთოჲსაო, განმიხუენ მე კარნი სინანულისანი და ბჳეთაგან სიკუდილ-შემოსილისა ცოდვისათა, მიკსენ შუამდგომელობითა შენითა, ღმრთისმშობელო

### **გალობა გ, განძლიერდასა**

**ძლისპირი:** განმადლიერებელ მექმენ მე, დამბადებელო ცისაო და ქუეყანისაო წყალთა ზედა. დამამტკიცე მე, ქრისტე, ეკლესიისა კლდესა ზედა, რამეთუ არა ვინ არს წმიდაჲ შენებრ, კაცთ-მოყუარე.

ღღესასწაულობს ერი შენი ქსენებასა შენსა და დაღადებს შენდა მომართ, წმიდაო თამარ: ჳ საღმრთოჲთა მადლითა განბრწყინვებულო, მეფეო კეთილსახიერო, მოგუხედენ, ზეცით გარდამო და გჳკსენ სოფლისა ღღევათაგან დაუნთქმელად.

სიტყუთა და საქმით აღიდე ღმერთი დიდებული და მცნებათა მისთა იწურთიდ ფრიად, ღღისი და ღამით გონებითა წმიდითა, და ვითარცა სუეტი ნათლისაჲ, ბრწყინვალე ღოცვაჲ შენი აღიწეოდა ზეცას, სანატრელო მეფეო თამარ, გჳთხოვე ქრისტჳს ღმრთისაგან დიდი წყალობაჲ.

სამკუდრებელო სიწმიდისაო და ძირო ყოვლისა სათნობისაო, ვითარ-იგი ღოცვაჲ შენი შეიწირვის წინაშე ღმრთისა, მას ევედრე, რაჲთა მოგუფინოს ქუეყანასა ზედა მმუდლობაჲ და სიხარული ცათა შინა.

არა მაქუს მე სიტყუად ღირსი სათნობათა შენთა ბრწყინვალეთა შემკობად, წმიდაო თამარ., არამედ შემნდობელ მექმენ უღირსსა ამას და შეიწირე კნინი ესე და უძლური გალობად და ნაცულად მომანიჭე მადლი და წყალობად.

**დიდება მამასა და ძესა და წმიდასა სულსა,**

შესავედრებელ გუექმენ ჩუენ, და ძალ-მწე, ზეშთა ბრწყინვალეო კელმწიფეო, რომელნი ესე სარწმუნობითა და სიყუარულითა პატივს-ვსცემთ მარადის სახარულევანსა და ყოვლად სანატრელსა კსენებასა შენსა და დაუცხრომელად გადიდებთ.

**აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.**

მოქალაქობისაგან წმიდისა განვვარდი, ყოვლადწმიდაო, და ვებაძუე პირუტყვთა და ყოვლითურთ დაშვილ ვიქმენ, მშობელო მსაჯულისაო, ყოვლისაგან დაშვიისა მიქსენ და მაცხოვრე მე.

### **წარდგომა**

საცხებელი სიხარულისა სცხე დიდებულად და ყოვლადშუენიერად მოყუასსა შენსა, მქსნელო, რომელმან ღმრთისმსახურებითა განაგო რაჲ მეფობად თუსი, ყოველი შჯული ცხორებისაჲ კეთილად დაიმარხა და ყოველი მცნებანი ღმრთისანი ჯეროვნად აღასრულა, ხოლო ლოცვითა და მარხვითა შეზღუდვილმან საცთური მოიძაგა და შუენიერებაჲ შეიყუარა, რამეთუ ზეცისა ღმრთისა მფარველნი ანგელოზნი უძლოდენ და ჰფარვიდენ მას ყოველთა დღეთა ცხორებისა მისისათა.

**დიდება მამასა და ძესა და წმიდასა სულსა,**

ჭეშმარიტად საკურველ-არს სურული და სიყუარული შენი და ღმრთისმსახურებაჲ, კეთილმსახურო მეფეო თამარ, რამეთუ სხუათა მათ სათნობათა შენთა კლდეთა ზედა მალალთა და ადგილთა მათ წმიდათა აღაშენენ ტაძარნი და მონასტერნი სადიდებელად ღმრთისა და შეამკევე შუენიერად, და იქმენ მნათობ უბრწყინვალეს მზისა.

**აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.**

უსძლოო ღმრთისმშობელო, ქალწულო წმიდაო, მხოლოო მორწმუნეთა შუამდგომელო, დაგუფარენ განსაცდელთა და ჭირთაგან, და ბოროტის გარემოდგომილებისა გუქსნენ ყოველნი, უბიწოო, რომელთა ყოველი სასოებაჲ შენ ზედა დაგვძს, და აცხოვრენ სულნი ჩუენნი საღმრთოთა ვედრებითა შენითა.

### **გალობა დ, უფალო მესმას**

**ძლისპირი:** მესმა, უფალო, განგებაჲ საიღუმლოთა შენთა გამოუთქუმელთაჲ, განვიცადენ საქმენი შენნი და აღვიარე მე ღმრთეებაჲ შენი.

აწ ადიდებს კსენებასა ლუაწლთა შენთასა კრებული მორწმუნეთა, და იქადის მეტეხი და ვარძია ლოცვათათუს შენთა მკურვალეთა, სასუფეველისა დიდებისა მხილველო მეფეო თამარ, ლოცუთა შენითა ღირს-მყვენ ჩუენცა ხილვად დიდებისა მისისა.

ღმრთისა ბრწყინვალეობათა ლამპარო მრავალმნათობო, მზემან სიმართლისამან განგანათლა შენ და მნათობად ცის-კიდეთა გამოგაჩინა, აწ ბნელი ცოდვათა ჩუენთა განანათლე სიწმიდითა შენითა, გევედრებით.

ვითარცა ახოვანმან მოლუაწემან და მძლე-მძლავრმან, აღიჭურვე მკლავნიცა მოწყუედად წინააღმდეგომთა ღმრთისათა და ერიცა შენი, დედისა ღმრთისა წილ-ხლომილი და კურთხეული, უშიშად დაიცევე, ხოლო ქუეყანაჲ შენი განავრცენ და აღაყუავენ.

რომელმან აღაშენე მონასტერნი ესე დიდებულნი და წმიდანი ეკლესიანი შემწყნარებელად ნათესავისა შენისა, ღმრთივშუენიერად შეიწყნარე მადლთა ბრწყინვალეებაჲ და წესი ღმრთივსულიერი ერსა შენსა დაუტევე, ნეტარო თამარ.

**დიდება მამასა და ძესა და წმიდასა სულსა,**

ზეცისა ძალთა ბანაკსა შეერთე შენ, მეფეო ყოვლად ბრწყინვალეო, რამეთუ ღმერთსა ჰმსახურე კეთილად და განუსვენე საქმეთა მიერ საწადელთა, აწ კარნი წყალობისანი განგუხუნე ოხითა შენითა, გევედრებით.

**აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.**

ცისკროვან-ჰყავ სული ჩემი, დაბნელებული შეცოდებათა სიმრავლითა, რომელმან ჰშვე მზს სიმართლისაჲ, მარადის ქალწულო.

### **გალობა ე, ღამითგანსა**

**ძლისპირი:** განგვანათლენ ჩუენ ნათლითა შენითა, უფალო, და მკლავითა მალლითა მორწმუნეთა მშვიდობაჲ შენი ზეცით მომეც ჩუენ, კაცთ-მოყვარე.

შეიზღუდე შენ შიშითა ღმრთისაჲთა, სანატრელო, და სიწმიდითა ადასრულე რაჲ ცხორებაჲ შენი, უზეშთაჲს ყოველთა მეფეთა და ბრძენთა კეთილად განაჩინე მეფობაჲ შენი და განადიდე სიმკნს და ზეობაჲ შენი.

შენ შეგივრდებით მუკლმოდრეკით, და გვევდრებით კელაღპყრობით მლოცველნი, ყოვლად ტკბილო და საწადელო კელმწიფეო, პატიჟთა მათგან ჯოჯოხეთისათა გუკსენ ტკბილითა მით წყალობითა შენითა დაუცხრომელად შენდამი მვედრებელნი.

ჰმატლი შენ ყოველთა დედათა სიბრძნითა და გონიერებითა, სიმკნისა ღუაწლისა მოღუაწებითა დიდებულო კელმწიფეო, რომლისათუცა განგადიდა შენ ქრისტემან მეუფემან და მოგანიჭა ლხინებაჲ საუკუნოჲ.

ითხოვე, წმიდაო სათნოო ღმრთისაო, ყოვლისა სოფლისათუც მშუდობით დაცვაჲ და ერსა ჩუენსა – ძღვევაჲ და დამტკიცებაჲ მართმადიდებლობისაჲ ქრისტესს ღმრთისაგან, და სულთა ჩუენთა უხუად დიდი წყალობაჲ.

**დიდებაჲ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა,**

ჰ საჩინოო და საწადელო კელმწიფეო, გარდამეტებულთა სიტკბოებითა შენითა გუკსენ ყოვლისაგან იწროებისა და საუკუნოჲსაგან საშველისა წინაშე ხატსა შენსა მღვთმარენი და ღირსებით პატივისმცემელნი კსენებისა შენისანი.

**აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.**

მეოხ-გუეყავ, ძისა შენისა, ღმრთისმშობელო რაჲთა გარდამოგვკლინოს სიმრავლს მოწყალებათაჲ, ვითარცა გაქუს კანდიერებაჲ.

### **გალობა ვ, ღალადყავსა**

**ძლისპირი:** ვედრებასა ჩემსა განვჰვენ უფლისა მიმართ და მას აუვარებ ბრალთა ჩემთა მარადის, რამეთუ ბოროტითა აღივსო სული ჩემი და სიმტკიცე ჩემი ჯოჯოხეთად მიიწია, და იონაჲსებრ ვლალადებ: აღმოიყუანე მე, ღმერთო ჩემო, უფსკრულისაგან ცოდვისა.

ვითარცა ვარსკულავი ღმრთივბრწყინვალს გამოუჩნდი დელვა-გვემულთა, სოფლისა ზღუასა შინა დანთქმულთა ექმენ მნათობ და ჯუარისა ძალსა მინდობილმან დაამდაბლენ ქედმალლობაჲ უმჯულოთა მეფეთაჲ, ნეტარო თამარ.

შემოიკრიბე რაჲ კრებული წმიდათა მამათაჲ, ვითარცა მკნემან მოღუაწემან, განჰმართენ ყოველნი წესნი უღებთაგან დაქსნილნი და განადიდე სარწმუნოებაჲ ჭეშმარიტი და ღმრთივკურთხეული, ბრძენო კელმწიფეო.

ცოდვათაგან მომკუდარი და ვნებათაგან დელვა-გვემული მაცხოვნე და მიმიძელუ ნავთსაყუდელსა საღმრთოსა მცნებათასა, სიქაღულო დედათაო, რამეთუ შენ ხარ მყუდრო ნავთსაყუდელი დელვა-გვემულთა.

ნუ დაიწყებ ერსა შენსა, დედოფალო, და ღმრთივმისათუალველითა ლოცვითა შენითა ნუ მოიკსენებ ძვრსა ჩუენსა, არამედ დაშრიტე აღძრვაჲ უკეთურთაჲ და მწვალებელთა ენანი მოაუძღურენ, ხოლო მართლ-აღმსარებელთა აღამაღლენ გვრგვნი და მშუდობაჲ მოჰმადლე ერსა ქრისტეანეთასა.

**დიდებაჲ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა,**

რომელი განანათლებ სულთა შიშითა და ღმობიერად მვედრებელთა სიწმიდისა შენისათა და საკრველისაგან იქსნი შენითა ღმრთისა მიმართ სათნოჲთა ლოცვითა, შეიწირე ჩუენიცა უნდოჲ ესე გალობაჲ და გუთხოვე ქრისტესს ღმრთისაგან ცოდვათა ლხინებაჲ და წყალობაჲ, ნეტარო თამარ.

**აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.**

განჰკურნე უკურნებელი, უძლური, დაპყრობითა სიბოროტისაჲთა, მძვინვარედ მოწყლული გული ჩემი, ყრმაო, და შენმიერსა კურნებასა ღირს-მყავ და მაცხოვნე მე, მოსავი შენი მეოხებითა შენითა, ყოვლადწმიდაო.

### **კონდაკი, კმაჲ მ**

ზეციერი სიბრძნს და ცხორებაჲ მოიგე და ბრწყინავ, ვითარცა მზს, ხოლო შარავანდელთა მიერ საქმეთა შენთაჲთა განანათლებ ყოველთა, რომელნი სურვილით აქებენ პატიოსანთა ღუაწლთა შენთა, სამ-გზის სანატრელო, მეფეო თამარ, ჩუენ

მოყუარეთა შენთა და სურულით პატივისმცემელთა, მოგუეც ზეცით ცხორებისა წარმართებაჲ, და შეცოდებათა კსნაჲ.

#### იკოსი

შეგემოსა, დიდებულო, მოწყალებაჲ, ვითარცა პორფირი, და კეთილი სიმშუღს, ვითარცა ძოწეული, ხოლო გვრგვინად დაგედგა, სახელ-დიდო მეფეო ქართველთაო, მწყობრნი ყოველთა სათნობათაჲ და გონებითა სრულითა ჰმონებდი უფალსა და ესრეთ შემკობილი შეხუედ სასუფეველსა და აკურთხევ ქრისტესა ღმერთსა უკუნისამდე.

#### გალობა ზ, კურთხეულარსა

**ძლისპირი:** ყრმანი ებრაელნი საკუმილსა შინა ვიდოდეს ცეცხლსა ზედა კადნიერებით შეცურეულნი დაღადებდეს და იტყოდეს: კურთხეულ ხარ შენ, უფალო ღმერთო, უკუნისამდე.

მცნებათა შენთა დაცვითა შჯულსა შენსა ერჩდა, მქსნელო, ძლევამოსილი მეფს ქართველთაჲ, ამისთჳს უშჯულონი სპარაზენნი აღმოფხურნა და იტყოდა: კურთხეულ ხარ შენ, უფალო ღმერთო, უკუნისამდე.

სიხარულისა მომფენელო სიბრძნისა საუნჯეო, კრებული ესე შენ მიერ განათლებული, დღესასწაულსა შენსა სიხარულითა შემოვკარბებით და დამბადებელსა ვადიდებთ: კურთხეულ ხარ შენ, უფალო ღმერთო, უკუნისამდე.

გამოშჩნდი, დიდებულო ქრისტეს მსახურო, შეუნიერებითა და გონიერებითა შენითა, და ღირს-მყავ შესხმად ქებულებისა შენისა, რომელნი ესე ამბორს უყოფთ ხატსა შენსა ყოვლად პატიოსანსა და ქრისტესა დაუღუბებელად ვადიდებთ: კურთხეულ ხარ შენ, უფალო ღმერთო, უკუნისამდე.

გამოშჩნდი რაჲ მუშაკ სათნობათა, კეთილად დამწყსე ერი შენი, საზეპურო ღმრთისაჲ და აღიდე მისგან სამაგელება უშჯულოებისაჲ, რომლისათჳსცა სამადლობელსა გალობასა აღუვლენთ ღმერთსა: კურთხეულ ხარ შენ, უფალო ღმერთო, უკუნისამდე.

#### დიდებაჲ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა,

ზეგარდამოათა მით მადლითა განათლებულმან, ბნელისა იგი უჩინო წყუდიადი განიოტე, და სირცხულეულ-ყვენ რაჲ ყოველნი მტერნი ღმრთისანი, წადიერად და სურვილით აღმოიტყოდი: კურთხეულ ხარ შენ, უფალო ღმერთო, უკუნისამდე.

#### აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

ნებითა ჩემითა შეცოდებული და დამონებული ჩვეულებისაგან უჯეროჲსა, მოწყალებისა მომართ შენისა მოვივლტი განწირული, მაცხოვნე, ყოვლადწმიდაო ღმრთისმშობელო.

#### გალობა მ, აკურთხევდითსა

**ძლისპირი:** შუდწილ ალაგზნა საკუმილი, მძლავრმან ქალდეველმან ყრმათათჳს გულისწყრომითა, და რისხვითა, და ძალითა მადლისაჲთა იხილნა უვნებელად დაცულნი ცეცხლისაგან განუხრწნელად, და დამბადებელისა მიმართ და მქსნელისა დაღად-ყო: აკურთხევდით ყრმანი, და მღდელნი უგალობდით, ერნი უფროჲსად ამაღლებდით მას უკუნისამდე.

უფალსა ყოვლის-მპყრობელსა ევედრე, ყოვლად დიდებულო კელმწიფეო, ჩუენ უღირსთა მონათათჳს, რაჲთა შენთანა უგალობდეთ მეუფესა ტკბილსა: მღდელნი უგალობდით, ერნი უფროჲსად ამაღლებდით მას უკუნისამდე.

მარხუაჲ და ლოცუაჲ დაუცადებელი მოიგე, მქნეო კელმწიფეო, მღუძარებაჲ და ზედგომად უკორცოთა მიმსგავსებული, და ესრეთ აღასრულე სრბაჲ შენი და წადიერად უღაღადე ღმერთსა: მღდელნი უგალობდით, ერნი უფროჲსად ამაღლებდით მას უკუნისამდე.

არა ეც ძილი თუალთა შენთა, არცა ჰრული წამთა შენთა, არამედ ლოცვითა და შრომითა განსწმიდე რაჲ სული შენი, შეემსჭუალე სიყუარულსა ქრისტესსა, და დაღადები გალობასა ძლევისასა: მღდელნი უგალობდით, ერნი უფროჲსად ამაღლებდით მას უკუნისამდე.

მეფევე სჯანო, მშულო, წყნარო და მდაბალო, მქნეო, ქუელო, კეთილ-მძლეო, და არ შერყეულო, შენ გაქებს პირი და ენა, სული, გული და გონება, და შენთანა უგალობთ და მბაღებელსა: მღღელნი უგალობდით, ერნი უფროდსად ამაღლებდით მას უკუნისამდე.

**ვაკურთხევთ მამასა და ძესა და წმიდასა, სულსა უფალსა.**

დღეს კსენებასა წმიდასა და ერის-კრებასა დიდისა მეფისასა, იშუებს ერი მორწმუნე და ღმრთივგანბრძნობილთა, მოყუარეთა დღესასწაულისათა კრებული, რამეთუ სახარულევან არს ერისადა მწყემსი, მეოხი და ღმრთისა მიმართ მკურვალედ მგალობელი: მღღელნი უგალობდით, ერნი უფროდსად ამაღლებდით მას უკუნისამდე.

**აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.**

თუალნი სულისა ჩემისანი გარდასლუთა დაბრძობილნი, ღმრთისმშობელო, განანათლენ, გონებად და გული მრავალ-ხატითა აღშფოთებული დაამშუდენ, გვედრები, მაცხოვრენ მე მგალობელი: ყრმანი და მღღელნი უგალობდით, ერნი უფროდსად ამაღლებდით მას უკუნისამდე.

**ვაქებთ, ვაკურთხევთ, თაყუანის-ვსცემთ უფალსა, უგალობთ და აღუამაღლებთ მას უკუნისამდე.**

**გალობა თ, ადიდებდითსა**

**ძლისპირი:** განკურდეს ზესკნელს ცანი, და კიდენი ქუეყანისანი შეძრწუნებულ იქმნეს, რაჟამს ღმერთი შენ მიერ კაცთა გამოუბრწყინდა და საშოა შენი უმაღლეს ცათა საყდართა გამოაჩინა. ამისთვის, ღმრთისმშობელო, ანგელოზნი და კაცნი, ვითარცა ღირს ხარ, გადიდებენ შენ.

იხარებ შენ გუნდთა მათ თანა ანგელოზთასა, ყოვლად ნეტარო დედოფალო, რამეთუ სიმკნით ილუაწე კორციითა, ვითარცა უკორცოჲმან და განანათლენ შენდა რწმუნებულნი იგი ერი ქრისტესს მოსახელს, წმიდაო თამარ.

სიყუარული და სურვილი მოწყალებათა მაღალი, ვითარცა პორფირი შეგემოსნეს შენ, ღმრთისმოყუარეო ცხებულო უფლისაო, რამეთუ წყალობითა ყოველთადათა მოიგე წყალობად ღმრთისაჲ, ხოლო ცათა შინა მიიღე გვრჯნი სასოებისაჲ.

პირად-პირადად შემკულ ხარ გვრჯებითა და შარავანდელითა, და კუერთხითა სამეფოთა, და პორფირითა და ბისონითა, შუენიერო დიდებო კელმწიფეთაო, და ჰსუფევე მეუფისა თანა ძალთასა, რამეთუ ღმერთსა მსახურე კეთილად და განუსვენე საქმეთა მიერ საწადელთა.

მიცვალებასა შენსა, სანატრელო, აკურთხე ყოველი და მხიარულებით ანგელოზთა კრებულმა შეიწყნარა სული შენი უბიწოა, რომელთა შორის იშუებ, სკიპტრისმპყრობელთა შორის უსაჩინოესო დედოფალო, წმიდაო თამარ, და მეოხ-ხარ სულთა ჩუენთათვის.

**დიდება მამასა და ძესა და წმიდასა სულსა,**

აწ მხისა ბრწყინვალეებისა უბრწყინვალეს ელვარე ხარ, მაღლითა სულისაჲთა მღვდარეო კელმწიფეო, შარავანდელი ლოცვსა შენისაჲ მოგუფინე და ზიარ-მყვენ ნათელსა შენსა.

**აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.**

ყოველთა შემოქმედი და უფალი, მიდგომილმან შევ უკუე, ქალწულო, და აჰა, აწ მდგომარე ხარ მარჯუენით მამისა, ვითარცა დედოფალი, წმიდაო, ამისთვისცა გვედრებით შენ, ნაწილისაგან მარცხენისა მიქსენ მე დღესა შინა სასჯელისასა და მარჯვენითა ცხოვართა თანა აღმრაცხე.

**განმანათლებელი**

დიდბუნებოვანო, ძლიერო და სუე-დოვლათიანო მეფეო ქართველთაო, ვერ წარგვიპარა შენ სიმდიდრემან და დიდებამან, ვითარცა ძველ-ოდესმე მეფენი მრავალნი, არამედ პირველად ეძიებდი სასუფეველსა ღმრთისასა, და ესე ყოველი შეგეძინა შენ, ხოლო აწ აღრაცხულ ხარ ბრწყინვალეებასა შინა წმიდათასა, და მოყუარეთა სიწმიდისა შენისათა მიანიჭებ კურნებასა და განათლებასა.

**დიდება მამასა და ძესა და წმიდასა სულსა,**

მფლობელმან დაბადებულთამან იხილა მორჩილება გონებისა შენისაჲ, და განაბრწყინვა რაჲ სულთა ცნობაჲ შენი ღმრთისმეცნიერებითა, სარწმუნო გყო

სოფელსა შინა და ბრწყინვალს, უფროდს მზისა, ბრწყინვალეებითა კეთილთა საქმეთადათა გამოგაჩინა, სანატრელო მეფეო, წმიდაო თამარ.

**აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.**

ხატისა შენისა არა თაყუანის-მცემელნი, ძისა და ღმრთისა შენისა, ქალწულო, სარწმუნოებითა წმიდითა განსდევნენ, ვითარცა უღმრთონი, და გეპენიასა შინა შთასთხიენ.

**აქებლითსა ზედა დასდებელნი,  
მუკლი ვ, კმაჲ ა, შენ სიტყვაჲ**

მხიარულითა გულითა მოვრიბოდეთ, მორწმუნენო, ტაძარსა ღმრთისასა, ვიხილოთ და მოვილოთ მაღლი იგი დავითის ძირთაგან აღმომორჩებულისა და აბრაჰამისებრითა სიუხუთა განშუენებულისა თამარისი, ანუ დავებროთ ნესტუსა გალობათასა, და განვსცხრებოდეთ და ვიშუებდეთ მოხარულნი ყოვლადწმიდასა შინა დღესასწაულსა წმიდისა მეფისა ჩუენისასა, და ვადიდებდეთ კსენებასა მისსა ყოვლად ბრწყინვალესა და საკელოვანსა.

ღმრთისა მიერ მოცემული მაღლი, განმანათლებელი სულთა, მოიღე შენ ბწყინვალედ და ერი შენი განსწურთნენ სიტყვთა და საქმითა საღმრთოთა, ეგრეთვე ჩუენცა ნუ დაგვიწყებ, დედოფალო, და მოგვანიჭე სიბრძნს კეთილისა და ბოროტების განრჩევისა და მოგვეც ძალი მოტევებისა, რაათა სიყუარულითა ღმრთისა და მოყუასისადათა ერთ ზრახვად შეკრულნი ვიდოდეთ მამულ-პაპურსა გზასა ზედა და მარადის გნატრიდეთ შენ, ჭეშმარიტად საქებელსა.

ვითარცა ღოძი საცნაურ არს ბრწყალთაგან თუსთა, ეგრეთვე შენ, მეფეთა შორის საჩინოო და სანატრელო, საცნაურ იქმენ ღუაწლთაგან შენთა ურიცხუთა და საკურველთა, რომლისა ღირსად გამოთქუმაჲ ვერ ძალუძს ენასა კაცისასა, არამედ იხარებს და განსცხრების ივერთა ეკლესიაჲ კსენებითა შენითა, და იქადის და ღაღადებს ყინწვისი და ბეთანია მაღლითა და დიდებითა შენითა, ხოლო ჩუენ მხილველნი ვარძიისა და ქუაბ-ქმნილთა კლდეთა, გუეშინის რაჲ დადუმებად, სარწმუნოებითა და სასოებით გიღადადებთ, და ვითარცა ქუეყანისა ჩუენისა განმაშუენებელსა და ეკლესია-მონასტერთა აღმაშენებელსა, გალობითა ქებისადათა დაუცხრომელად ვადიდებთ.

სუფევდი რაჲ სამეფოთა და სამფლობელოთა შინა შენთა სიმკნითა და სიქველითა დავითიანითა, იქმენ უბრძნეს ბრძნისა მის სოლომონისა, რამეთუ არა შეშინდი შენ შიშისაგან მაცთურისა მტერისა, არამედ მშულდი და ისარნი ეშმაკთანი შეშუსრენ ლოცუთა მკურვალთა, და ენაჲ გესლოვანი უღმრთოთა მწვალეებელთაჲ დაქსენ ძალითა საღმრთოთა, რომლისა მიერ აღამაღლე გვრგვნი მართლმადიდებელთაჲ და განადიდე სარწმუნოებაჲ ჭეშმარიტი და ღმრთივეკურთხეული, ხოლო აწ იხარებს სული შენი წინაშე წმიდისა სამებისა და განიცდი დიდებასა გამოუთქუმელსა, ნეტარო თამარ.

რომელმან სიმდაბლითა, სიმშუდითა და უხუებითა განვლე ცხორებაჲ შენი დიდებული ქუეყანასა ზედა და კაცთმოყუარებითა განაგე ერი ჩუენი რწმუნებული შენდა, აწ ჩუენცა ნუ დაგვიწყებ, სანატრელო, რომელნი ესე ვართ მძლავრებასა შინა დამონებულნი და ნაკლულევანებითა და სიგლახაკითა შეკრულნი, არამედ რისხვაჲ ღმრთისაჲ მოწყალებად შეგვცვალე, ხოლო სიბოროტით ცხორებაჲ სათნო-ყოფად ღმრთისა აღგვასრულებინე, მწუხარებაჲ სიხარულად გარდაგვქციე და უმეცრებაჲ გონიერებად შეგვაწყნარე, რაათა ერთობითა სარწმუნოებისადათა და სიყუარულითა აღვიარებდეთ, ვითარცა წინამძღოლსა და განმაცისკრებელსა ერისა ჩუენისასა და დაუცხრომელად გნატრიდეთ.

საქმეთა მიერ საღმრთოთა იქმენ ტაძარ ქრისტსსა და მიემსგავსე მწყემსსა კეთილსა, რამეთუ მცნებანი ღმრთისანი, ვითარცა ქუეყანამან რჩეულმან შეიწყნარენ, და კეთილთა საქმეთა მოქმედებისა, კეთილნაყოფი აღმოაცენე, გამომზრდელი გონებისა ჩუენისა, მსგავსებითა ცხორებისა შენისადათა, რომლისათუსცა დღესასწაულობს ერი შენი კსენებასა შენსა, და ღაღადებს შენდა მომართ: მოგუხედენ, ჰ, წმიდაო სათნოო ღმრთისაო, ნეტარო თამარ, და ითხოვე ქრისტსს ღმრთისაგან მგალობელთა შენთათუს გამოკსნაჲ დეღვათაგან მძუნვარეთა, რომელთა აღვკძრავს მტერი იგი მოშურნს, არამედ

შენითა ვედრებითა დაკსენ ეშმაკი საცთური და ღირს-გვყვენ შენთანა სიხარულსა დაუსრულებელსა.

**დიდებაჲ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა,**

გიხაროდენ, სწორუოვარო დილო ხელმწიფეო, რომელი შეიჭურვე საჭურველითა ვუარისაჲთა, სასოებითა სარწმუნოებისაჲთა და სიყუარულითა სიმტკიცისაჲთა და დაჰლეწე ყოველი საჭურველი მძვინვარისა ბრძოლისაჲ; გიხაროდენ, დავითის ბრწყინვალეთა ძლევათა აღმადვინებელო და განმამტკიცებელო სახელისათჳს ქრისტჳსა; გიხაროდენ, მართლმადიდებლობისა წყარო დაუწყვედელო, რომელი დაათრობ კიდეთა ქუეყანისათა; გიხაროდენ, სიქადულო დედათაო, შულთა მორჩილებად მამა-დედათა, და მშობელთა – სულითა საღმრთოთა შულთა საყუარელთა მოწყალებად განმწვრთუნელო; გიხაროდენ, ქრისტეანეთა მეფეთა შარავანდედისა განმამტკიცებელო და სამეფოთა შენთა ერთ ზრახუად შემკვრელო, სამგზის სანატრელო წმიდაო თამარ, მოსაგნი შენნი ვითხოვთ ღმრთისაგან მშულობასა და დიდსა წყალობასა.

**აწღა, ღმრთისმშობლისა.**

**ღემეტრე საქართველოს მეფისა, ბაგრატიონისა.**

შენ ხარ ვენახი, ახლად აყუავებული,  
მორჩი კეთილი, ედემში დანერგული,  
აღვა სულნელი, სამოთხით გამოსრული,  
ღმერთმან შეგამკო, ვერავინ გჯობს ქებული,  
და თავით თჳსით მზე ხარ გაბრწყინებული.

**დიდებაჲ მაღალი – გრძლად.**

**კვერეჟსი და განტეკება.**

**ლიტურგიასა ზედა.**

**მომიქსენენი კანონისაგან წმიდისა გალობა გ, და ვ, მუხლი ზ**

**წარდგომა: კმაჲ დ.** აღვამალლო რჩეული ერისაგან ჩემისა, ვპოვე დავით მონაჲ ჩემი.

**მუკლი.** ამისთჳს გცხო შენ ღმერთმან, ღმერთმან შენმან საცხებელი სიხარულისა.

**სამოციქულო. ჰრომაელთა, თავი იგ, მუკლი ა**

ძმანო ყოველნი კელმწიფებასა უმთავრესისასა მას დაემორჩილნენ.

**დასასრული, მუკლი ია**

აღმასრულებელი ჰსჯულისა სიყუარული არს.

**ალილუია, კმაჲ ა**

ძალითა შენითა იხარებდეს მეფე, და მაცხოვარებითა შენითა იშუებდეს ფრიად.

**მუკლი.** მოიქსენე, უფალო, დავით და ყოველი სიმშუღწ მისი.

**სახარება იოანესი, თავი ი, მუკლი ა**

ჰრქუა უფალმან მოსრულთა მათ მისსა მიმართ ჰურიათა...

**დასასრული, მუკლი ი**

და საძოვარი ჰპოვოს...

**განიცადე**

საკსენებელად საუკუნოდ იყოს მართალი.